პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 13 მარტი № 60 (16797) ფასი 2 კაპ. 1977

12 გვერდი

ოქტომბრის გზით განვითარების სამოცი წლის მანძილზე ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრდა შესანიშნავი სოციალისტური ტრადიციები, რომლებმაც შეისისხლხორცა რევოლუციური გრძოლისა და აღმშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება. თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ ამ ტრადიციებს — ნიშნავს შემოქმედებითად ვავითარებდეთ მათ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ლენინური შაბათობა

16 აპრილი კომუნისტური შაბათობის დღეა! ეს ფორმითაც და შინაარსითაც სრულიად ახალი მოძრაობაა. იგი ახე დაიწყო: 1919 წელს 17 მაისს ალექსანდრეს რკინიგზაზე შედგა პირველი კომუნისტური „შაბათობა". 98-მა კომუნისტმა და თანამგრძნობმა, თანახმად საერთო კრების დადგენილებისა, ზედმეტად იმუშავა 5 საათი უსასყიდლოდ...

ვ. ი. ლენინმა ამ შაბათობას დიდი შეფასება მისცა და მას მიუშვენა თავისი უკვდავი ნაშრომი „დიადი თაოსნობა".

დიადი თაოსნობა! ჯერ მხოლოდ დასაწყისი, მაგრამ არაჩვეულებრივი დიდი მნიშვნელობის დასაწყისი! — ასე შეფასა ბელადმა მუშების მიერ თავიანთივე თაოსნობით მოწყობილი კომუნისტური შაბათობები.

დიადი თაოსნობა! ლენინმა ამ სახალხო მოძრაობაში დაინახა კომუნიზმის ცოცხალი ყლორტები, თავისუფალი ხალხის მძლავრი შრომითი ინიციატივა, ცხოვრების გარდამქმნელი ძალა.

...და მან შემდეგ მრავალი ათეული წლის მანძილზე კომუნიზმის ამ ცოცხალმა ყლორტებმა ფრთები შეიხსა.

როგორც ყოველთვის, წლეულსაც მოსკოვის მოწინავე ხარმოო კოლექტივებმა გამოიჩინეს პატრიოტული თაოსნობა, რომ 16 აპრილს მოეწყოს ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისა და დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. ჩვენი ქვეყნის მგზნებარე გულის — მოსკოვის საწარმოებმა ვალდებულება იკისრეს შაბათობის დღეს იმუშაონ ბალანსაოფიერად, დაზოგილი მასალებით, საათობითა და ელექტროენერგიით, იმუშაონ უსასყიდლოდ.

ეს ინიციატივა ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას. მას გულმხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები. საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ყველგან ხალხმრავალ მიტინგებზე მოლებულ იქნა კონკრეტული ვალდებულებები, რომ 16 აპრილს ყველანი გამოვიდნენ შაბათობაზე, ამ დღეს მიაღწიონ პროდუქციის რეკორდულ გამოშვებას, მაღალ ხარისხს, დაზოგონ ელექტროენერგია, ნედლეული, მასობრივი მონაწილეობა მიიღონ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში... გამოშუშავებული თანხა კი გადარიცხონ მეათე ხუთწლედის ფონდში.

შაბათობისათვის მზადების დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითმა აღმავლობამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო დიდმა ჯილდომ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ხრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალმა წითელმა დროშამ, რითაც დაჯილდოდა ჩვენი რესპუბლიკა, ქალაქები და რაიონები, ბევრი საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

პარტიისა და მთავრობის ეს დიდი ჯილდო ახალი წარმატებების მოსაპოვებლად რაზმავს ყველა მშრომელს, ახალი შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობისათვის განაწყობს მათს ძალახა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას.

წლეულს განსაკუთრებული დაძაბული, დიდი პატრიოტული შრომა მოგველის. 1977 წელი — მეათე ხუთწლედის მეორე წელი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი მესამოცე წლისთავის წელია. ეს ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნის ყველა ადამიანისათვის დიდი გამოცდის, დიდი შემოწმების წელია. ამიტომ ყველანი იქ უნდა ვიყვნეთ, სადაც წყდება ხუთწლედის მეორე წლის ბედი. უნდა ავამოქმედოთ ყველა არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი, უფრო მაღლა ავწიოთ კომუნისტური შრომის დროშა, ყოველ ახალ დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, ვიმუშაოთ მაქსიმალური ნაყოფიერებით. — ახეთია დღეს პარტიის მოთხოვნა და ჩვენი ყოველდღიური შრომისა და მოღვაწეობის მიზანი.

რესპუბლიკის დიდი წარმატებები, სახელოვანი გამარჯვებები 1976 წელს — მეათე ხუთწლედის პირველ წელს, კანონზომიერი შედეგია საქართველოს კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა, ხალხის ერთი საერთო მიზნისაკენ წარმართვისა, შრომელთა ერთი ფიქრით, ერთი სანრუნავით შეკავშირებისა. ეს გამარჯვებები იმის შედეგია, რომ, როგორც ეს კარგად ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე, „...ჩვენ ვისწავლეთ მუშაობა, თუ გნებავთ, ვისწავლეთ ბრძოლა დასახული მიზნის განხორციელებისათვის, სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის".

კომუნისტური შაბათობისათვის მზადებას ყველგან ხათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები. რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივები კისრულობენ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კონკრეტულ ვალდებულებებს. შაბათობის მაღალ ნაყოფიერად მოწყობისათვის ნაშენელოვანი გეგმები აქვთ დასახული ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ბალმეურნეობებს,

ყოველმხრივ სრულყოთ მომსახურების სფერო

აფხაზეთის საოლქო პარტიული აქტივის კრებაზე

აფხაზეთის კომუნისტებს არა აქვთ უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი, ვიდრე ავტონომიური რესპუბლიკის შრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება.

ქალაქებისა და სოფლების პარტიული ორგანიზაციები, აძლიერებენ რა მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, სახავენ მოსახლეობის საავჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველმხრივ გაუმჯობესების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გზებს.

სწორედ ამ საკითხებზე გაიმართა ხაბ-ბაასი ამ დღეებში აფხაზეთის საოლქო პარტიული აქტივის კრებაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის შედეგებისა და აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ტყეარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, სოხუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკის მკერავი ა. ბრიუნნო, საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი ბ. გულუა, სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მიქანბა, გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სანატორიუმ მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვ. ძნელაძე, აფხაზეთის საბერმოსავლელო საზოგადოების ავჭრობის გამგეობის თავმჯდომარე კ. შონია, აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. შარტავა, გუდაუთის შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ახობა, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ზეინკალი რ. შენგელია, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ფილია, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. კვარკელია, სოხუმის სასურსათო ვაჭრობის № 3 გასტრონომის უფროსი გამგეველი ვ. ლაკობა და სხვები. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხინთბამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს გარკვეული ძვრები მოხდა აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების მომსახურების სფეროს მუშაობაში. შარშან გეგმის გადამეტებით რეალიზებულია ოთხ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, გადაჭარბებით შესრულდა საყოფაცხოვრებო მომსახურების დაკალებებიც. განმტკიცდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს განსაკუთრებით ითქმის საკურორტო ზონაზე, უკვე ხუთწლედის მეორე — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთვის საბუნებიო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერსამები, ახალი მაღაზიები, სასადილოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები.

ამასთან ხაზი გაესვა არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. აღინიშნა, რომ სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საქონელზე, დაბალია მომსახურების კულტურა. ცოტა როდია ნაკლოვანებები ქალაქისა და სოფლის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქმიანობაში. ძალიან შეზღუდულია საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობები, განსაკუთრებით სოფლებში ნელი ტემპით ინერგება მომსახურების პროგრესული ფორმები. ამიტომაც დაბალია წარმოების კულტურა და მომსახურების ხარისხი.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს აგრეთვე მომსახურების სფეროში კადრებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. ხელმძღვანელ თანამდებობებზე რატომღაც ერიდებიან ქალების დაწინაურებას, სათანადო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა სპეციალისტებს. ამასთანავე ჯეროვნად არ ხდება მუშაკების მატერიალური და მორალური სტიმულირებისა და წახალისების სხვა ღონისძიებათა გამოყენება. მომსახურების სფეროს სხვადასხვა უბნებზე ჯერ კიდევ არ იგრძნობა ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო.

აფხაზეთის მოსახლეობის საავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებები უმთავრესად აიხსნება აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს, სამომხმარებლო საზოგადოების კავშირის გამგეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოუქნელობით.

პარტიული კომიტეტები და შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები სრულად ვერ უზრუნველყოფენ პარტიის მოთხოვნათა განხორციელებას, ვერ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის, ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანი დარგის ძირეულად გარდაქმნისათვის, მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია მოსახლეობის საავჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის შემდგომი ამაღლების კონკრეტული ამოცანები.

კრებაზე მტკიცე რწმენა გამოითქვა, რომ „კომუნისტები, კომკავშირელები, მომსახურების სფეროს ყველა მუშაკი ყველაფერს იღონებენ, რომ წარმატებით შეასრულონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებები, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

როცა ყველაფერი ძველებურად რჩება

მოსახლეობის უფართესმა ფენებმა, მთელმა საზოგადოებამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებები მიიღეს და აღიქვეს არა მარტო როგორც პარტიული დოკუმენტი, არამედ როგორც საყოველთაო-სახალხო მოქმედების საბრძოლო პროგრამა. და ეს გასაგები და ბუნებრივია, რამდენადაც მათში მთელი სიხარულითა და სიღრმით აისახა თვით მათი ინტერესები, ფიქრები და აზრები, სურვილები და რჩევა, ჩივილები და ტკივილები.

ამან უზრუნველყო პლენუმის გადაწყვეტილებისადმი მასების ერთხმულოვანი მხარდაჭერა, მისი განხორციელებისათვის მომსახურების სფეროს — ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მთელი საქმიანობის მკვეთრი გაუჯობესებისათვის მტკიცე დარაზმულობა.

სწორედ ამ ერთსულოვნებისა და საკითხის არსში გულდასმით ჩაწვდომის სულისკვეთებით მიმდინარეობს ბევრგან პლენუმის უედეგებისადმი მიძღვნილი პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები ქალაქად თუ სოფლად. თვით კრებებისათვის მზადების პროცესში გამოვლინდა და ფარდა აეხადა მუშაობის მანკიერ მხარეებს, ზოგიერთი მუშაკის დასაგმის საქციელს. თუმცა ყველგან მთელი პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით როდი მოეკიდნენ საკითხს.

რატომ გაათავისუფლეს თავმჯდომარე

იანვარის დამდეგს ბოლნისის რაიონსამომხმარებლო საზოგადოებას ცეკავშირის ლიოს უნივერსალური ბაზიდან სამოთახიანი ბინის უნგრული ავეჯის გარნიტური გამოეყო. მაგრამ მას ბოლნისამდე არ ჩაუწეფია, ისე გაქრა ცასა და მიწას შორის ეს 26-ნაჭრიანი გარნიტური.

რა მოხდა?

ბოლნისის რაისამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე ჯუმბერ მაღლაფერიძემ. გამოიძახა კოოპუნივერმაღის დირექტორი ნ. სელიმაშვილი და სამეურნეო მაღაზიის გამგე ტ. ჯასანოვი. სელიმაშვილს უთხრა: მიეცით მინდობილობა ჯასანოვს 4.860-მანეთიანი ერთი კომპლექტი ავეჯის გამოსატანად. შენ კი, ჯასანოვო, — მიმართა მაღაზიის გამგეს, — ჩახვალ ლიოს ბაზაში, ფაქტურას გააფორმებ, ფულს მოგცემენ, ავეჯს კი დასტოვებ და წამობვალ!

მაღაზიის გამგემ ზუსტად შეასრულა უფროსის განკარგულება. 2 დღის შემდეგ ჯასანოვთან ჩავიდა ორი უცნობი პირი, ჩაუთვალა ავეჯის ღირებულება და წავიდა. ჯასანოვს თვალითაც არ უნახავს ავეჯი.

ამგვარად, უხეშად დაირღვა სახელმწიფო დისციპლინა, განხორციელდა ფიქციური ოპერაცია.

მამაკი და ფხიზელი ადამიანების წყალობით თვენახევრის შემდეგ, რაცა ბოლნისში მეხუთე პლენუმის შედეგებისადმი მიძღვნილი კრებები იმართებოდა, სწორედ მაშინ, როგორც შუბმა ხალთაში, ისე ამოყო თავი.

ისმება კითხვა: ბოლნისისთვის ეს შემთხვევა უცხო ხილია? არა. იმ დროს, როცა გამგეობას სათავეში ედგა ჯ. მაღლაფერიძე, ბევრჯერ უმხილებიათ დარღვევები სამომხმარებლო საზოგადოების სისტემაში.

აი სულ ახლი, მარტში გამოვლინებული ფაქტი, რომელიც შეისწავლა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. კოოპუნივერმაღში მიიღეს 40-მანეთიანი აბრეშუმის იმპორტული თავსაფრების პარტია (150-ზე მეტი), და თურმე ისე „დაუტაქნიათ“, რომ უნივერმაღის მუშაკებსაც კი ვერ მოუსწრიათ მისი დანახვა.

იქნებ არ იცოდა ჯ. მაღლაფერიძემ რა უნდა ეღონა, როგორ უნდა ებრძოლა დარღვევათა წინააღმდეგ, ან აკლდა საამისო ცოდნა და გამოცდილება?

ნიშანდობლივი და საყურადღებო სწორედ ის არის, რომ მან შრომითი საქმიანობა ცეკავშირის აპარატში დაიწყო და 16 წელიწადი მუდმივად იქ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ისეთი საანკეტო მონაცემები აქვს, ისეთი სამსახურებრივი საფეხურები აქვს გავლილი, რომ ამ დარგის გაცილებით უფრო დიდი თანამდებობის დასაკავებლადაც თავისუფლად ემაროდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ კადრების შერჩევისა და განაწილებისას მარტო საანკეტო მონაცემები სრულიადაც არ არის საკმარისი; როგორც პლენუმზე აღინიშნა, „დადგა დრო ვაჭრობის ორგანოები განვამტკიცოთ როგორც პროფესიულად დაოსტატებული, ისე ზედმიწევნით პატიოსანი კადრებით“. და რომ ამ საქმეში უნდა ვიხელმძღვანელოთ „ჩვენი საკადრო პოლიტიკის სტრატეგიითა და ტაქტიკით, რომ ადამიანთა ნდობას უნდა ვუხამებდეთ მათდამი პრინციპულ მომთხოვნელობას“.

როგორც კი ავეჯის ფაქტი ცნობილი გახდა პარტიის ბოლნისის რაიკომისათვის, იგი დაუყოვნებლივ იქცა ბიუროს მსჯელობის საგნად. რაიკომმა სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა კრებას უჩინა, რომ საზოგადოების თავმჯდომარე ჯ. მაღლაფერიძე გაათავისუფლოს თანამდებობიდან, და გამოუცხადა მას საყვედური პირად საქმეში შეტანით. ნ. სელიმაშვილი და მაღაზიის გამგე ტ. ჯასანოვი კი გაათავისუფლა სამუშაოდან.

ფყალი სათავიდან იმლვრევა

მაინც სად გაქრა, ვის ჩაუვარდა ბოლოს ხელში ის ავეჯი? — იფიქრებს მკითხველი. — როგორც ირკვევა, იგი თვით ცეკავშირის უნივერსალური ბაზის საქონელმცოდნის გიზო მამალაძისათვის „დაუთმია“, მას კი თავის მხრივ რომელიღაც ნაცნობისა თუ მეგობრისათვის „გადაუღია“.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ამ საქმეში ბაზის „ღვაწლი და ამაგი“. სამოთახიანი ბინის ავეჯის გარნიტურ „მაპრონის“ ოთხი კომპლექტი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან 18 ოქტომბერს მიიღეს, თვეების მანძილზე ეწყო და არ ნაწილდებოდა, რატომ? რა უშლიდა ხელს, ან ვის უცდიდნენ? რა პრინციპით გაანაწილა ბაზამ „მაპრონის“ ოთხადოთხი კომპლექტი, როცა მისი ზონის მეგრი დიდი რაიონი, თუნდაც, გარდაბანი ან მარნეული, გვერდზე დარჩნენ, ბოლნისმა კი მიიღო? (თუ კი ამას მიღება ჰქვია!).

ყველაფერი ეს გვაძლევს თუ არა უფლებას ვიფიქროთ, რომ, თუმცა უკანასკნელ წლებში ბაზას რამდენიმე ხელმძღვანელი შეეცვალა, მისი მუშაობის სტილი და მეთოდები მოლიანად ძველებური დარჩა? კაცმა რომ თქვას, სხვანაირი შედეგები ან რად უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი? ბაზის მუშაკთა შორის ხომ (ორასზე მეტი კაცი მუშაობს) ფაქტიურად არც მომხდარა რაიმე ნიშანდეგანი ცვლილება, რომ მუშაობას რადიკალური ძვრები მოპყოლოდა?

ავიღოთ თუნდაც საქონელმცოდნის საკითხი. იგი ბაზის მთავარი ფიგურაა და შეიძლება თქვას, მის კვალიფიკაციურობასა და უნარიანობაზე, კომპეტენტურობასა ადა პატიოსნებაზეა ძირითადად დამოკიდებული ბაზის მთელი მუშაობის ავ-კარგი. მერე, როგორ არის ამ მხრივ საქმე? აი უბრალო სტატისტიკა. აქ 40-მდე ხაქონელმცოდნეა, მათ შორის ქალი ერთადერთია. უდიდეს ნაწილს მხოლოდ საშუალო განათლება აქვს. საქონელმცოდნეებიდან უანასკნელ ორ წელიწადში მხოლოდ ორი კაცი შეიცვალა, უმაღლესი განათლების მქონე ამ დარგის სპეციალისტები კი ზოგჯერ გაუნაწილებელი რჩებიან.

გვინდა ასეთი კითხვა დავაყენოთ: ბოლნისში მომხდარი ამბავი ვიწრო რაიონული მოვლენაა, ხოლო ცეკავშირის უნივერსალური ბაზისათვის — ომვიანი გამინაკლისი თუ სოფლად ვაჭრობისა, და საერთოდ, ვაჭრობისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი და გავრცელებული ნიშან-თვისება?

არა, სხვანაირად გვიდგება იმპორტული და დეფიციტური საქონლის ბაზისა და მაღაზიის თანამშრომელთა შორის განაწილება, დახლისქვეშიდან მისი გაყიდვა, ნაცნობებისა და შინაურებისათვის გადანაწილება. მათი ასეთი მოქმედება საოცრებითაც არ არის მხოლოდ მეგობრობისა და ახლობლებისადმი გულშემატკივრობით ნაკარნახევი. მის უკან ხშირად ანგარება, პირადი მოგებისა და მომხვეჭელობის ხარბი სურვილი იმალება.

ასეთ სიტუაციასა და გარემოს ფიზიკუ განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ განახილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შედეგებს თვით ცეკავშირის უნივერსალურ ბაზაში — ამ სისტემის საბითუმო ობიექტებს შორის ყველაზე მთავარ ბაზაში.

პირდაპირ ვიტყვით, დღის წესრიგის განხილვას ფორმალობის, მოვალეობის მოხდის დაღი აზის. გარეგნულად თითქოს ყველაფერი ნორმალურად გამიფყრება — დაბეჭდილია მოხსენება, ოქმი, დადგენილება... არსებითად კი არ იერძნობა საქმისათვის გულისტკივილი, საკითხისა და მომენტის აქტუალობა, და ის, რომ ეს მათი სისხლხორცეული საქმეა. პირიქით, თვითდამშვიდება და გულგრილობა გეცემათ თვალში. კრებაზე არ გამოუვლენიათ მუშაობის არცერთი სერიოზული ნაკლი, არ წამოუყენებიათ მნიშვნელოვანი პრობლემა თუ წინადადება, რაც მთავარია, დუმილითა აქვს ბეჭერი ავლილი ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე ბაზების მიმართ მთელი სიმწვავითა და კატეგორიულობით გამოთქმული კრიტიკას: „კვლავინდებურად არის გავრცელებული ფაქტები, რომ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს პირდაპირ სძალავენ ფულს, იმისათვის, რომ მიუტანონ ფოდებით გამოყფილი საქონელი, დროზე მიაწოდონ პრდუქცია საგაჭრო ქსელს“. ასეთი გარემოება კი მაღაზიის მუშაკებს უპატიოსნობისაკენ, მომხმარებლის მოტყუებისაკენ უბიძგებს. ასე რომ, ხშირად ბაზაა დანაშაულის სათავე. ამტომ ამობენ, ფყალი თავიდან იმღვრევა.

ჩანს, ვერც პარტიის თბილისის საკარანო რაიონული კომიტეტი აფასებს ჯეროვნად საბითუმო ბაზების როლსა და მნიშვნელობას პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ეს ერთი მხრივ იმითაც გამოიხატა, რომ რაიკომს არცერთი წარმომადგენელი არ დასწრებია კრებას, რომელშიც 200-მდე კაცი იღებდა მონაწილეობას, და მეორე მხრივ, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ე. სუქნიძის განცხადებით — ცეკავშირის ბაზა ამინდს არ ქმნიხო. თუმცა, გარდა ცეკავშირის უნივერსალური ბაზისა, საბითუმო ვაჭრობის სხვა დიდი ორგანიზაციებიც არის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საგალანტერეო ბაზა, ცეკავშირის ტყავ-ქურქეულის და „კოოპპოსლტორგის“ ბაზები.

ნათელი და აშკარაა, რომ ბოლნისის ფაქტი სცილდება ერთი რაიონის ფარგლებს და, მაშასადამე, პროფილაქტიკა და მკურნალობაც შესაბამისი მასშტაბითა და ხიბწვავით უნდა განხორციელდეს.

ს. ხარაზიშვილი.

ᲛᲝᲛᲐᲬᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲐ

როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ხალხთა მეგობრობის მუზეუმის“ შესანიშნავ ექსპონატებს ათვალიერებ, თითქოს კელვა გრძნობ ბრძოლის ველის ცეცხლოვან სუნთქვას, მის ბობოქარ ბაჯისცემას. ამ მყუდრო დარბაზებში თითქოს კვლავ გესმის ფრონტელ თანამოკელთა ომახიანი ხმა, მათი ვაჟკაცური ყიჟინა, თანამემამულეთა მხნე ძახილი, საბრძოლო მოწოდება და შემართება!

ფრონტზე მძაფრ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში თითქოს საგანგებო მოწოდებად ისმოდა სიტყვა — **„ამხანაგო!“** — **„ამხანაგო კაპიტანო!“**, **„ამხანაგო კომისარო!“**, **„ამხანაგებო, წინ!“**.

ამ უშუალო, მხურვალე მიმართვაზე, ამ გამოკვეთილ ძახილზე ერთიან საბრძოლო ძალად იკვრებოდა საჯარისო ქვეგანაყოფი, ნაწილი. მათს ირაზს თითქოს სხვა ძალა ეძლეოდა. ასე ადამკრელი საბრძოლო მოქმედებისათვის აღანთებდა ადამიანებს მომწოდებელი სიტყვა გულისა.

სიტყვა, **ამხანაგო!** ეს ეროვნულად კეთილი მიმართვა ყოველთვის კეთილხმოვნად ეღერდა, იგი აღიქმებოდა ვითარცა მიმართვა ტოლისა ტოლთან, ძმისა თანასწორთა.

იგი მუდამ გამოხატავდა ახალი სამყაროს შვილთა, თავისუფლებისათვის ამხედრებულ ადამიანთა საბრძოლო სულისკვეთებას.

ამიტომაც იყო ეს სიტყვა უშუალო, გულთბილი, მომწოდებელი, ეროვნულად ადამიანური, სისპეტაკის, კარგი გუნება-განწყობის დამამკვიდრებელი, ბობოქარ, სწრაფმდინარე ცხოვრებაში ქედმაღლური, ბატონაკაცური მოპყრობის დამგმობი, ახლის, პროგრესულის დამნერგავი ყოფასა და ურთიერთობაში.

იგი იყო საერთო საქმისათვის, საბჭოთა სამშობლოს ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანების დარაზმვის, მათი საბრძოლო-იდეოლოგიური ერთიანობის მაჩვენებელი.

ეს არ იყო ბრძანება, არც ხვეწნა-მუდარა ან მუქარა. არა, სულ სხვა იყო, ინეიანთა შთაგონებისა და ზემოქმედების მქონე სიტყვა, მცნება. იგი იყო გულის ძახილი და მოწოდება, დამარაზმველი მიმართვა, რომელსაც მომენტის შესატყვისად, შესაფერისად მოქმედებაში მოპყავდა ათასობით ნებრძოლი ადამიანი, მეომრული კოლექტივი. სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, განათლების, გამოცდილების მქონე მებრძოლი, მეთაური, პოლიტმუშაკი, კომუნისტი, კომკავშირელი, უპარტიო, დედასამშობლოს დასაცავად ამხედრებული, გულმხურვალე მამულშვილი.

ამიტომაც, ბრძოლის ველზე გამართულ პარტიულ კრებაზე თუ შემდგომ პარტიული კომისიის სხდომაზე (სადაც კომუნისტები საგულდაგულოდ განიხილავდნენ პარტიის რიგებში შესვლის მსურველთა განცხადებებს), ასე გულთბილად, მხურვალედ ეღერდა ეს სიტყვა — „ამხანაგო!“ ომის გმირთა, ბრძოლის ველის ვაჟკაცთა შეხვედრას, მათ შესაფერად მებრძოლთა სულისკვეთებას ამშვენებდა არა მარტო სიტყვა, არამედ პარტიული ამხანაგობაც. ამის ცოცხალ, მისაბაძ მაგალითს კომუნისტები იძლეოდნენ ბრძოლებში. პოეტური სიტყვაც ამას ამბობდა, უმღერდა ნდობითა და რწმენით: ამხანაგებო, დროშები მაღლა! ნაბიჯი მტკიცე, მწყობრი და ჩქარი!...

აი ასეთი განცდითა და მოელვარებით სჩადიოდნენ ისინი საბრძოლო ვმირობებს. ბრძოლებში დაღვრილი ოფლითა და წმინდა სისხლით იწერებოდა მებრძოლი ვაკის ჯარისკაცური ბიოგრაფია, ასე იწერებოდა სწორედ გმირი კომუნისტების მიხეილ ბუხაიძისა და ელადიმერ კანკავას გმირული ბრძოლის ამბავი, ამასვე გვიყვება ბრძოლაში ტყვეით დაფლეთილი მათი პარტიული ბილეთები, მათივე სისხლით რომ არის დანამული.

უთუოდ სიმბოლურია, რომ ჩვენი პარტიის ისტორიის მეხუთე ტომის პირველ წიგნში, სხვა დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, შეტანილია სამამული ომში თავდადებული კომუნისტების ტყვეით დაცხრილული პარტიული ბილეთების ფოტოასლები.

ისიც ნიშანდობლივია, რომ მათ შორის არის გამოჩენილი მხედართმთავრის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, არმიის გენერლის ივანეკ ჩერნიახოვსკის, ლეიტენანტ ანდრია ნიკულინის, ჯარისკაც გრიგოლ კვბის და სხვა სახელოვან მამულიშვილთა წმინდა სისხლით შეღებილი პარტიული ბილეთები, რომლებსაც შავი მელნით მოყლე, გულისმწველი, დაუვიწყარი წარწერა აქვს: **„დაიღუპა საბჭოთა საშობლოსათვის ბრძოლაში“**... მათი პარტიული ბილეთები გვიამბობს ამ გმირთა თავდადებას.

საბრძოლო ცხოვრება დაუვიწყარი მაგალითია ახალგაზრდა კაცისათვის, მებრძოლისათვის, კომუნისტისათვის. მათს განცხადებას, სიტყვასა და საქმეს საბრძოლო ეპიგრაფად ახლდა მუდამ მეომარი პოეტის იოსებ ნონიშვილის აღთქმად თქმული მართალი სტრიქონები:

....და თუ დავეცი ტყვიადაკრული,
მსურს კომუნისტად მოვკვდე ბრძოლაში“...
დიდ პარტიაში შესვლის ნატრულნი
ვწერდით სანგრებში, სისხლის მორევშიო...

მუდამ დაუვიწყარია პარტიაში შესვლის მომენტი, მაგრამ მაინც სხვაა იგი ფრონტზე. ბრძოლაში მოპოვებული ეს ნდობა, როგორც სხვა გრძნობა, თავისებური, გაუზუნარია. ფრონტზე პარტიაში იმიტომ შედიოდნენ ადამიანები, რომ უკეთ ებრძოლათ, ემოქმედათ მოწინავე ცეცხლის ბაზზე, სადაც იარაღით წყდებოდა საბჭოთა სამშობლოს ბედი, სადაც იყო სიკვდილ-სიცოცხლის ზღუდე და ყოფნა-არყოფნის პრობლემა წყდებოდა პრაქტიკულად.

საბჭოთა ადამიანის, მეომრის რწმენა, მისი იდეურობა ბრძოლის ველზე ვლინდებოდა, ეს საუკეთესო თვისება მის სანიმუშო მორალურ-პოლიტიკურ განწყობაში ჩანდა, რომელიც ნათლად ისახებოდა სიმტკიცითა და შეუპოვრობით. აქ კონცენტრირებულად ვლინდებოდა მეომარ-მოქალაქის მამულშვილობა, მეომრული მოვალეობისადმი ერთგულება, მხედრული ნიჭი და ოსტატობა.

ასეთი საბრძოლო-იდეური წრთობა, რომელიც მშვიდობიან დროს, აღმშენებლობითს პერიოდში მიიღეს ჩვენმა ადამიანებმა, კიდევ უფრო გამოაწრთეს დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში. მათ თავიანთი ცოდნით, ენერგიით სისხლისა და თვით სიცოცხლის ფასად სრულად გამოავლინეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური იდეალებისათვის თავგანწირვა და უსაზღვრო ერთგულება.

ეს მკაცრი გამოცდა, დიდი შემოწმება იყო ოთხი წლის, 1.418 დღის უწყვეტი ბრძოლის პროცესში და იგი ჩინებულად ჩაბარეს საბჭოთა ხალხისა და პარტიის ერთგულმა შვილებმა უმძიმეს, უმაგალითო ომის ცეცხლში. იგი თაობებს გადაეცა მა როგორც მამა-პაპათა მხურვალე პატრიოტებისა და საბრძოლო შემართების მარად ელვარე ნიმუში.

ამ ტიტანურ ბრძოლაში — **„ამხანაგო!“** მარტო მოწოდება და თბილი, მომწოდებელი, დამარაზმველი სიტყვა კი არ იყო, არამედ ამ ცნების პრაქტიკული გამოხატულებაც.

ასეთი პრაქტიკული ხორცშესხმა იყო ამხანაგობის ცნებისა 1914 წლიდან პარტიის წევრის, პოლკის კომისრის დოცენტ კალენიკე გიორგაძის საბრძოლო ცხოვრება. იგი ომის პირველი დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა დამპყრობელთა წინააღმდეგ ხელში იარაღმომარჯვებული და მუდამ იქ იდგა, სადაც მართალი, მომწოდებელი სიტყვა და იარაღი ორივე თანაბრად ყო საჭირო.

— მისმა ხელქვეითებმა, მეზღვაურებმა, ვიცოდით, — სიამაყით იგონებს საბჭოთა კავშირის გმირი, ისტორიის მასწავლებელი ვასილ მილოვანტსკი, — რომ ჩვენი მამაცი, ტკვიანი, განათლებული კომისარი, ამხანაგი კალენიკე გიორგაძე იმას ამბობდა, რაც სწამდა, იმას აკეთებდა, რაც სჯეროდა. მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო, ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენც გვჯეროდა კომისრის მართალი სიტყვა და მასთან ერთად გაბედულად ვებრძოდით ბრძოლაში, მივდიოდით შეტევასა თუ კონტრშეტევაში, რაც უნდა მძიმე ვითარება და რთული დავალება ყოფილიყო, ნდობით მიეყვებოდით ნაცად კომუნისტსა და უშიშარ მეთაურს და წარმატებასაც ვაღწევდით მკაცრ, სისხლისმღვრელ, თავდაცვითს თუ შეტევითს ბრძოლებში“...

ასე აღიბეჭდა ამხანაგი პოლკის კომისრის უჭკნობი საბრძოლო შემართება, თავდადება, მისი მხედრული ოსტატობა და უნარი ლენინგრადის, სევასტოპოლის, ნოვოროსიისკის, „ცეცრე მიწის“ გმირთა დაუვიწყარ მხედრულ ეპოპეაში.

უთუოდ, ამიტომაც იყო, რომ, რა თანამდებობაც უნდა ჰქონოდა კალენიკე გიორგაძეს, მამაცი მეზღვაურები, სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მას მხოლოდ ასე მიმართავდნენ — **„ამხანაგო კომისარო!“** და ამით ბევრი რამე იყო გულით ნათქვამი.

ბრძოლაში შეძენილი ამხანაგები და ქარცეცხლში ნაწრთობი მეგობრობა, საიმედოა, უბერებელი ნიშან-თვისებაა ადამიანობისა, რომელიც ვოლუნტარიზმის, სუბიექტივიზმის თუ მაამებლობის აუგად სახსენებელ ჟამსაც იმედს, სიმხნეკეთილ, ბრძოლის არ უკარგავდა მებრძოლ კაცს, ადამიანში ადამიანურს განამტკიცებდა, დღენიადაგ აღამაღლებდა.

უნდა გავუფრთხილდეთ სიტყვა ამხანაგს! ადამიანთა ურთიერთობაში, წერილობითი თუ ზეპირი მეტყველებისას ყველგან უნდა ისმოდეს, ყოველდეს სიტყვა ამხანაგო, ვგრძნობდეთ მისი ზემოქმედების ძალით უნარს, გულმხურვალებას, ისე როგორც იგი ამაყად, უშუალოდ, სასიამოვნოდ ისმის ჩვენს პარტიულ ყრილობებსა და საბჭოების სესიებზე.

ამტომ ქმაყოფილების გრძნობით ვიმეორებთ ახლახან დაწერილ და დასტამბულ მშვენიერ პოეტურ სტრიქონებს, რომელშიც შინაგანი რწმენით, ღრმა გაგებითა და კანონიერი სიამაყის განცდით ვკითხულობთ:

— ამხანაგო! ამხანაგო!
ის სიტყვაა, ის ტონია,
სადაც წითლად ლაპარაკობს,
კლახის ჩემის ისტორია.

მართლაც რომ კარგად გამოხატა პოეტმა ნაზი კილასონნიამ ყველას სათქმელი თავის ახალ მშვენიერ ლექსში, რომლის სათაურია „პოეტიკური“ და ამის სხვების სათქმელიც და გულისნადებიც სრულად, დამაჯერებლად გადმოსცა. ხოლო პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გულიანად გასცა პასუხი ადამიანურ, სათუთ კითხვას: — შენი ამხანაგი ვინ არის? მისი შემაჯობელი ნიშანთვისებაც—სიწმინდე, შთაგონება წარმოგვიდგინა და ღრმა რწმენით მიმართა ადამიანებს:

— ნერგი ხიკეთით დანერგული
კი არ გამხმარა.
ამხანაგებო!
გაუფრთხილდით სიტყვა — „ამხანაგს“.

და პოეტთან ერთად, მთელი ხმით, ჩვენც ვიმეორებთ ამ სტროფს, ამ მოწოდებას:

ამხანაგებო, გაუფრთხილდით სიტყვა „ამხანაგს“.

პეტრე შამათავა.

უკეთ რომ ვზარდოთ

პროფპედაგოგიკა უურადღების ცენტრში

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მოვამზადოთ მაღალი კვალიფიკაციის ძუშები უწინარეს ყოვლისა საშეალო პროფესიულ-ტექნიკურ, აგრეთვე ტექნიკურ სასწავლებლებში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამო იცვლება სწავლების შინაარსი, სრულყოფილი ხდება მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ფორმები და მეთოდები, ღღის წესრიგში დგება პროფტექგანათლების პედაგოგიკის, ანუ პროფპედაგოგიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე პროფპედაგოგიკის თავისებურება ის არის, რომ მისი ცალკეული პრობლემების შესწავლისათვის საჭიროა სხვადასხვა დარგის მეცნიერთა, ტექნიკოსთა, ეკონომისტთა, ფიზიოლოგთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა და სხვათა მონაწილეობა.

პროფპედაგოგიკა არის აღზრდისა და სწავლების თეორია, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებას საშუალო ზოგადი განათლების ბაზაზე.

ამ ძირითადი მიზნის განხორციელება თავის მხრივ ეულისხმობს ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიც არის ცალკეულ პროფესიათა ზოგადტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სპეციტექნოლოგიასთან კავშირის ქსელური ანალიზი შინაარსობრივი და დროის ფაქტორების მიხედვით, სწავლებისა და აღზრ

ძნელი მოლაპარაკება

ვაშინგტონი. (საკადესი). თეთრ სახლში მოლაპარაკება დაამთავრეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა. მოლაპარაკება შეეხო ფართო წრის საერთაშორისო პრობლემებსა და ორმხრივი ურთიერთობის ხაკითხებს. როგორც მემამხილველები აღნიშნავენ, მოლაპარაკება ძნელი აღმოჩნდა და არ მოჰყვა ამერიკა-ინგლისის ურთიერთობის სფეროში უთანხმოების აღმოფხვრა, დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ხაკითხისადმი შეთანხმებული მიდგომის შემუშავება.

პრესის ეროვნულ კლუბში გამოსვლისას კალაგენმა განაცხადა, რომ „დასავლეთი ინფლაციისა და გადიდებული უმუშევრობის ძლიერ ზემოქმედებას" განიცდის", და გამოთქვა შეშფოთება, რომ ამ სიძნელეთა გაღარმავებას „მოაყვება პოლიტიკური შედეგები".

მოლაპარაკების დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა აღიარა, მტკიცედ აღნიშნა, რომ ლონდონსა და პარიზს სურთ მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზებერითი სამგზავრო თვითმფრინავის „კონკორდის" კომერციული ფრენის ნებართვა. როგორც ვიცით, ეროვნული ავიაკომპანიების საამებლად, რომლებსაც აშინებთ „კონკორდის" კონკურენცია, ამერიკის ხელისუფალნი სხვადასხვა ლონეზე ფუშავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში „კონკორდის" ფრენას, კერძოდ, მის დაჯდომას ნიუიორკის აეროპორტში. ამასთან დაკავშირებით კალაგენმა პრესის ეროვნულ კლუბში გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „განსაკუთრებული პასუხისმგებლობა" ეკისრება პროტექციონიზმის გაძლიერებისათვის.

მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობას. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ „ადამიანის უფლებების" საკითხზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ატეხილმა აურზაურმა შეიძლება ზიანი მიაყენოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის განვითარებას. ამ შეჯ შფოთებას, წერს „ვაშინგტონ პოსტი", იზიარებენ საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ' ესტენი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი.

სენატორ კენედის მოწოდება

ვაშინგტონი. (საკადესი). სენატორმა ე. კენედიმ (დემოკრატი მასაჩუსეტსის შტატიდან) მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განახორციელოს ამერიკა-ვიეტნამის ურთიერთობის ნორმალიზაციის ღონისძიებანი. სენატში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ორი ქვეყნის წინაშე მდგომი ბევრი პრობლემის მოწესრიგებას, არამედ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მშვიდობიანი განვითარების საქმესაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხაზი გაუსვა სენატორმა, ვიეტნამთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაცია ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს შეესაბამება.

ე. კენედიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელი არ უნდა შეუშალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის მიღებას. მოუწოდა რა ამერიკა-ვიეტნამის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის, სენატორმა თქვა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრა დაეხმაროს ვიეტნამელ ხალხს ქვეყნის აღდგენაში.

საალუო წესეგი გრძელდება

მეხიკო. (საკადესი). ჩილეს ხუნტამ კვლავ ექვსი თვით გაახანგრძლივა საალუო წესები ქვეყანაში. იგი ამ ღონისძიებას მიმართავს ყოველ ნახევარ წელიწადში 1973 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, როცა ფაშისტური პუტჩის შედეგად დაამხეს სალვადორ ალიენდეს კანონიერი მთავრობა.

სანტიაგოში გავრცელებულ ოფიციალურ დეკრეტში ნათქვამია, რომ ხუნტა მაქსიმალური ენერგიით „დაიცავს წესრიგს ქვეყანაში". პინოჩეტის რეჟიმის ენაზე ეს ნიშნავს, რომ იგი „მაქსიმალური ენერგიით" განაგრძობს ჩილეელ პატრიოტთა დევნას, დაპატიმრებას, წამებასა და მკვლელობას.

ამერიკის საგზაგადოებრიობა მოითხოვს

ფეწყდეს გამალებული შეიარაღება!

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოვდება ამერიკის საზოგადოებრიობის გამოსვლები გამალებული შეიარაღებისა და ახალი ხახის ძვირადღირებული იარაღის შექმნის წინააღმდეგ.

მრავალრიცხოვანი მიტინგების მონაწილენი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ 1977-78 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის გადახინჯული პროექტი, რომელიც ახალმა მთავრობამ კონგრესში წარადგინა, ფაქტიურად წინანდელ დონეზე ტოვებს პენტაგონის ასიგნებებს და ინარჩუნებს სტრატეგიული სისტემის შეიარაღების, მათ შორის ბომბდამშენ „ბ-1"-ის შექმნის ყველა ძირითად პროგრამას.

სურათზე: „შეწყდეს გამალებული შეიარაღება!" — მოითხოვენ ვაშინგტონის მცხოვრებლები.

კამერა პრეს-საკადესის ფოტო.

საიუბილეო კონკურსი

ულან-ბატორი. „ოქტომბერი-60" — ასე ეწოდება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საუკეთესო მოთხრობებზე, ნარკვევებსა და ფოტოსურათებზე გამოცხადებულ კონკურსს. იგი გამოაცხადა მონგოლეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ორგანოს გაზეთ „ჰუდელმურის" („შრომის") რედაქციამ. კონკურსის ეიური მიიღებს ნაწარმოებებს, რომლებიც მოგვითხრობენ მონგოლი და საბჭოთა ხალხების წარმატებებსა და მიღწევებზე სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობაში, მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის ძმურ მეგობრობაზე.

ყბმლაფმრგმ

მუზეუმი სიურპრიზებით

ბუდაპეშტში რემონტის შემდეგ გაიხსნა ფილატელიის მუზეუმი, რომელიც ცნობილია როგორც კოლექციის სიმრავლით (9 მილიონამდე მარკა), ისე მარკა-სიურპრიზებით. აქ დაცულია, მაგალითად, პირველი უნგრული მარკა იმპერატორ ფრანციოსების გამოსახულებით. ევერის კატალოგში, რომელიც ამას წინათ საფრანგეთში გამოვიდა, იგი 50 ათას ფრანკად არის შეფასებული. და აი რატომ. როცა დაშკვეთებმა მზა მარკები მიიღეს, აღმოჩნდა, რომ იმპერატორის სახე უხეიროდ იყო დაბეჭდილი და მთელი პარტიის მოსპობა ბრძანეს. მაგრამ რამდენიმე ეგზემპლარი მაინც გადარჩა და საფოსტო მიმოქცევაშიც კი მოხვდა.

კოლექციაში არის კიდევ ერთი უჩვეულო მარკა. 1861 წელს ინგლისის ყოფილი კოლონიის ნიუ-ბრანსუიკის ფოსტმინისტრმა ჩარლზ კონელმა როცა შეატყო, რომ ინგლისის დედოფლის გამოსახულებიანი მარკების მარაგი იწურებოდა, მეტროპოლიაში ახალი პარტია შეუკვეთა. პაკეტი რომ მიიღეს, ფოსტის მოხელეები გაოცდნენ: მარკებზე ფოსტმინისტრის წვერიანი სახე იყო აღბეჭდილი.

□

განქორწინება ინდურად

ინდოეთის უტარ პრადეშის შტატის ტერაის რაიონში დღემდე შემორჩენილია განქორწინების უძველესი წესჩვეულება, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ ქალს აქვს. ქმარს ამ დროს არაფერი ეკითხება. განქორწინების პროცედურა მარტივია. თუ ქალი ქმრის მიტოვებას განიზრახავს, მან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჭიქრის ხე უნდა დარგოს, მას ირგვლივ სამჯერ შემოუაროს და კბილებით ორი ნაკვეთი დაამჩნიოს. ამის შემდეგ იგი თავისუფალია და შეუძლია სხვაზე გათხოვდეს.

□

ჟღერდა 3.400 წლის წინათ

ამერიკელმა მეცნიერმა-მუსიკისმცოდნეებმა შეძლეს უძველესი სიმღერის — საკულტო ჰიმნის გამოფრქვა და გახმოვანება, რომელიც დედამიწაზე 3.400 წლის წინათ ჟღერდა.

უძველეს კომპოზიტორს სანოტო ქაღალდად თიხის ფილები გამოუყენებია. ისინი არქეოლოგებმა სირიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაოხრების დროს აღმოაჩინეს. მეცნიერთა ჯგუფმა პროფესორ ენ კილმერის ხელმძღვანელობით თხუთმეტი წელი მოანდომა მათ გაშიფვრას.

გამოშვებულ ფირფიტაზე აღბეჭდილია სიმღერის ეოკალური და ინსტრუმენტული მესოლეგა. „იგი საოცრად თანამედროვეად ჟღერს, — ამბობს ე. კილმერი. — როგორც ჩანს, იმიტომ, რომ მელოდია მარტივია — მასი დაკვრა შეუძლია ნებისმიერ ბავშვს, რომელიც საშემსრულებლო ოსტატობის დაუფლებას იწყებს".

□

ღვინო ბობოლებისათვის

ამას წინათ ლონდონში სოტსბის აუქციონზე 205 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა ერთი ბოთლი 249 წლის წინათ დაყენებული გერმანული ღვინო.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ამ ღვინოს, რომელიც დამზადებულია XVIII საუკუნის დასაწყისში ბრემენის საუკეთესო ჯიშის ყურძნისგან, შენარჩუნებული აქვს ჩინებული გემო. 1945 წელს, ბრემენში მოკავშირეთა ჯარების შესვლის წინ, ქალაქის ცნობილი ღვინის სარდაფები სულ ერთიანად გაძარცვეს.

გადარჩა მხოლოდ ერთი პატარა კასრი, რომელსაც საკმაოდ წინდახედული წარწერა ჰქონდა: „საშიშია ჯანმრთელობისათვის!". როგორც ჩანს, კასრიდან ღვინო ბოთლებში გადაუსვლიათ და ერთ-ერთი მათგანი 30 წელზე მეტი ხნის შემდეგ ლონდონის აუქციონზეც გამოჩნდა.

ინციდენტი ვაშინგტონში

შეიარაღებული თავდასხმა ვაშინგტონის საკალაქო სამმართველოს შენობაზე

□

ვაშინგტონი. (საკადესი). ორ დღე-ღამეზე მეტი ხნის განმავლობაში ამერიკის დედაქალაქი ალყაშემორტყმული იყო. შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა, რომლებიც, პრესის ცნობებით, რელიგიურ სექტას „მაჰმადიან-ჰანაფიტების" მიეკუთვნებიან, ოთხშაბათს შუადღისას ხელთ იგდო ვაშინგტონის საქალაქო სამმართველოს შენობა, საერთაშორისო ახალგაზრა ცენტრი და საინფორმაციო ორგანიზაციის „ბნაი ბრიტის" შტაბ-ბინა. თავდასხმის დროს ერთი კაცი მოკლეს. 10-მდე კაცი მძიმედ დაიჭრა. ასზე მეტი კაცი მძევლად წაიყვანეს.

თავდასხმის გარემოებანი და მისი მოტივები თავდაპირველად ბუნდოვანი იყო. მაგრამ შემდეგ შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა მთელი რიგი მოთხოვნები წამოაყენეს, თან გაიფრთხილეს ხელისუფალნი, ამ მოთხოვნებს თუ არ შეასრულებთ ან შენობის განთავისუფლებას ეცდებით, მძევლებს დაეხოცავთო. ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეასრულეს ორი მოთხოვნა — აკრძალეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფილმი „მუჰამედი—ალაჰის წინასწარმეტყველი დედამიწაზე", რომელიც ჯგუფის აზრით შეურაცხყოფს მაჰმადიანთა რელიგიურ გრძნობებს, და გაათავისუფლეს სექტა 750 დოლარი ჯარიმისაგან, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემლობის გამო უნდა გადაეხადა.

შემდეგ თავდამსხმელებმა მოითხოვეს, რომ მათს განკარგულებაში გადასცენ „რელიგიური მოწინააღმდეგეები", რომლებიც, პრესის სიტყვით, მეეკუთვნებიან სხვა რელიგიურ სექტას „შავ მაჰმადიანებს", რომელსაც ათი წლის წინათ გამოეყვნენ „მაჰმადიანი ჰანაფიტები". „შავი მაჰმადიანების" ხელმძღვანელი ელია მუჰამედი და მისი ექვსი თანაშემწე ამჟამად სამუდამო პატიმრობაში არიან რელიგიური მოტივებით რამდენიმე პავშვისა და ქალის დახოცისათვის. ამდენ ხალისი, შეიარაღებული ჯგუფის ხელმძღვანელი — ოთხი დახოცილი ბავშვის მამა.

თავდასხმის შემდეგ მალე ს

ტყუპები

ქალიათურელები მუდამ დიდი ინტერესით მოელიან გაზაფხულის დადგომას. ტრადიციისამებრ, მარტის პირველ დღეებში ქართული მანგანუმის ქალაქის მეტალურგთა კულტურის სასახლეში თავს იყრიან ტყუპები. იმჯერად 15-მა წყვილმა მოიყარა თავი. ისინი შეკრებილნი ესაუბრებიან თავიანთ ცხოვრებაზე, წარმატებებზე და სწავლაზე, აწყობენ თვითმოქმედების კონცერტებს, მღერიან, ცეკვავენ, კითხულობენ ლექსებს.

შეკრების დღეს „ჰეათურელი ტყუპების“ ჯგუფში საზეიმო ვითარებაში იღებენ ახალ წყვილებს. მათ საზეიმო გადახახადის მაგვრობას უწევს ხაკონცერტო ნომრით გამოსვლა — ხიმღერა ან ცეკვა „ქართული“.

სურათებზე: ტყუპების შეკრება; დები ნინა და ნანა შეეყლაშვილები ჰეათურის თბილისური მეპარაკეებად მუშაობენ; ჰეათურის მერვე საშუალო სკოლის მეორეკლასელები, ფრიადოსნები ხვიჩა და გოჩა მოდებაძეები.

მ. დათიკაშვილისა და ა. მაჰაგარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მკითხველის კალმით

● **ცხინვალი.** შარშან „მეხუთე მეოთხეულში“ სახელოვნად იმრთმეს ხოფელ ხეთაგუროვის საშუალო სკოლის კომკავშირელებმა. ადრე გაზაფხულიდან ისინი სწავლისაგან თავისუფალ დროს აქტიურად ეხმარებოდნენ თამარაიშვილის საბჭოთა მეურნეობას ხველე სამუშაოებში. ამას წინათ კომკავშირელები მ. მალიმგოვი, რ. თედეევი, ლარისა ბიგულაევა და მასწავლებელი — ბრიგადის ხელმძღვანელი დ. გუცაევი საქართველოს ალკა ცხინვალის რაიკომის სპპატიო სიგელებით, ხოლო სკოლა ტელევიზორით დააჯილდოდა.

ჯ. ლოხოვი.

● **ცხაკაია.** „ინტერნაციონალური მეგობრობის გზით“ — ასე ეწოდა თემატურ საღამოს, რომელიც თეკლათის კულტურის სახლში გაიმართა.

ნ. ჯალარაკავა.

ფელეტონი

რა გეშველებათ, ქუჩაგო?

ხად წახვალ, ფეხთ არ
გაგეგოს
ქუჩა, ასფალტი, მანქანა,
მეც შემძრა ამ სამაიამ
კალმისკენ გადამაქანა!
გზადაგზა ჩემი მეოთხეელის
ფიქრებთან მინდა დავეშვე
(ძნელია წერა საერთოდ
გადაქანების გარეშე!)
ეს ფელეტონი მჯილსა მცემს,
ჯიუტად, კუშად, აგზნებით,
სალეგენდო და საზღაპრო
გზები გვაქვს, მაგრამ რა
გზები!
ავტობუს-ტროლეიბუსი
ლოთი კაცივით ირწევა,
ფერი ხან მიგვდის, ხან
მოგვდის,
ხან გული გვეხტის, ხან
წყვეა!
ფეხს რომელ ქუჩაზ დაადებთ
(თითი დაადეთ, ბატონო!)
თვალი არ მჭირდეს
დათხრილი,
არ ეგდოს, ვით უპატრონო.
თქვენც გეცხმით მოკლე
ტალლებზე
შოფრის ჩაწნული „გალობა“?
უცხო თვალს არ ენახვება
ეს უცხო ხანახობა.
საბურავს ყურჩამოყრილი
ქუჩა რომ ყელზე ადგება,
ჩვენს უთაობას კი არა,
რატომლაც ზამთარს
ბრალდება!
გზებზე ბრინჯივით გაბნეულ
ბოლმას ძლივს შევაქუჩებო,
მკერდახვალტშემოხეულნო
რა გეშველებათ, ქუჩებო?!

ზაზა კაციაშვილი.

ა. კანდელაკის ნახატი.

ფეხბურთი

15 მარტს, თბილისში...

საინტერესო ასპარეზობის მოწმენი იქნებიან თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები სეზონის დაწყებამდე უკვე ორი კვირით ადრე. 15 მარტს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება პირველი მატჩი სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობით. ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდს უმასპინძლებენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები.

ნაკრები თბილისში 14 მარტს ჩამოვა სოხუმიდან, სადაც იგი ეშერას საწვრთნელ ბაზაზე ხუთდღიან შეკრებას ატარებს.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი **ი. გობეჩია** შეხვდა ეშერაში სსრ კავშირის ნაკრების უფროსს მწვრთნელს სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ნ. ხიმონინს.** აი რა თქვა მან:

— შეკრებით კმაყოფილი ვართ, ეშერაში ყველა პირობა შეგვიქმნეს ნაყოფიერი ვარჯიშისათვის, ნაკრებში ახლა თბილისელი დინამოელების დ. ყიფიანისა და შ. ხინჩაგაშვილის გარდა კიდევ 11 ფეხბურთელი ვარჯიშობს: ვ. ასტაპოვსკი, ი. დეგტიარიოვი, ვ. კრუგლოვი, ს. ოლშანსკი, ა. ნოვიკოვი, ე. ლოგუნეი, ა. მინაევი, ა. მაქსიმენკოვი, ა. ტარხანოვი, ნ. პეტროსიანი, ვ. ფიოდოროვი. „ბავარიასთან“ მატჩის შემდეგ ჩვენ შემოგვეერთდება კიდევ 5 კიეველი ფეხბურთელი — ო. ბლოხინი, ვ. ონიშჩენკო, ლ. ბურიაკი, ვ. ტროშკინი და ა. კონკოვი.

20 მარტს ჩვენ ვითამაშებთ ტუნისის ნაკრებთან, 23 მარტს — იუგოსლავიის ნაკრებთან ბელგრადში, 27 მარტს ბულგარეთში „ლოკომოტივის“ კლუბთან, რომელიც ახლა თამაშობს ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი ვლოდზიმეჟ ლიუბანსკი.

28 მარტს გამოვფრინდებით სამშობლოში, ფეხბურთელები თავიანთ კლუბებს მიაშურებენ. საბერნეთის გუნდთან, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩის წინ, რომელიც მოსკოვში 24 აპრილს გაიმართება, საბჭოთა ნაკრები კვლავ შეიკრიბება 18 აპრილს. ასეთია ჩვენი გუნდის უახლოესი გეგმები.

ორიოდე სიტყვით

მშვილდოსნობა. 60 სპორტსმენი მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატში, რომელიც მოსკოვის „ოქტომბრის“ სტადიონის დასურულ დარბაზში მიმდინარეობს. შეჯიბრების პირველ დღეს ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარეს ულანეველმა ბორის ციბიკოვმა (90 მეტრზე — 308 ქულა) და ოდესელმა იოსებ ფაინშტეინმა (70 მეტრი — 328 ქულა). მრავალჯიდში ლიდერობენ ი. ფაინშტეინი და ჩიტელი მშვილდოსანი ქალი ლუსმაკაკ დაშარაბდანოვა. ორივეს ერთნაირი შედეგი აქვს — 634 ქულა.

წყალში ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონმა, პენზელმა ირინე ქალინინამ გაიმარჯვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში ბიჭკინი მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ „ბაზაფხულის მერცხლებზე“. მეორე ადგილზეა მილისა ბრაილი (აშშ), მესამეზე მოსკოველი ოლგა დმიტრიევა. ასპარეზობაში 10 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიან. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მინსკელი ალექსანდრე კოსენკოვი. მეორე შედეგი აქვს რობი გრეგს (აშშ), მესამე — მოსკოველ ვიაჩისლავ სტრახოვს.

მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ლიგის მორიგი, მე-10 გათამაშება პარიზში საფრანგეთისა და შვეიცის ნაკრებთა მატჩით დამთავრდა. ანგარიშით 5:2 ფრანგებმა გაიმარჯვეს და მეორე ადგილზე გამოვიდნენ. პირველობა უნგრელებმა მოიპოვეს. სსრ კავშირის ნაკრები მესამე ადგილზეა.

მძლეოსნობა

„დედოფალი“ ველოდრომზე

ბასკეთის საკურორტო ქალაქ სანსებასტიანში შეიკრიბნენ ევროპის საუკეთესო მძლეოსნები, რომლებიც აქ კონტინენტის ზამთრის პირველ ჩემპიონატის ჯილდოებს გაითამაშებენ. 24 ქვეყნის მორბენლები, მხტომელები, მტყორცნელები ასპარეზობენ სან-სებასტიანის დახურულ ველოდრომზე, რომელიც 7.500 მაყურებელს იტევს.

— სარბენი ბილიკები (იგი ფერადი ტარტანისაგან არის გაკეთებული) და სკამრონები აქ საუკეთესოა — ვფიქრობ, კარგ შედეგებს უნდა მოველოდეთ, აღნიშნა სამზეოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამმაგ ხტომაში, თბილისელმა ვიქტორ სანეევმა.

მის გარდა საბჭოთა ნაკრებში გამოდიან სპორტის „დედოფლის“ აღიარებული ზამთრამდგილები: მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი, კიეველი ვალერი ბორზოვი (მას ევროპის ზამთრის პირველობების ექვსი ოქროს მედალი აქვს!), წინა ასპარეზობის საუკეთესო თარჯიმრბენალი, მინსკელი ვიქტორ მიასნიკოვი, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი ბირთვის კვრაში ლენინგრადელი ეფგენი მირონოვი და სხვები.

მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა მძლეოსნებზეც — მოსკოველ ლიუდმილა სტორეკოვაზე (სპრინტი), ვორონეჟლენინგრადელ ტატიანა სკაჩკოზე (სიგრძეზე ხტომა), ტარტუელ იაკა უუდემაიაზე (სამმაგი ხტომა) და სხვებზე.

„სპორტლოტო“

შაბათის „სპორტლოტოს“ (5-დან 36-მდე) მე-11 ტირაჟის შედეგები.

პირველი ტირაჟი: 19 (სათხილამურო რბოლა), 36 (ჰოკეი), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 14 (ნიჩბოსნობა — ბაიდარები და კანოე), 7 (ველოსპორტი-ტრეკი).

მეორე ტირაჟი: 35 (ბალახის ჰოკეი), 24 (ხელბურთი), 31 (მძლეოსნობა), 9 (წყალბურთი), 16 (ცხენოსნობა).

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ჰოლოგრაფიის „პროფესია“

ულიანოვსკი. ოპტიკის — ჰოლოგრაფიის მრავალრიცხოვან „პროფესიებს“, სულ უფრო ხშირად რომ იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში — კიდევ ერთი — ოპთალმოლოგია შეემატა. ქართველმა მედიკოსებმა კიბერნეტიკოსებთან ერთად პირველად მიიღეს თვალის ფსკერის ჰოლოგრაფიული ექსპერიმენტული ჩანაწერი. სამეცნიერო შეაჯამეს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგემ პროფესორმა ჯ. ახთელავამ, თვალის მიკროქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელმა ვ. კონტრიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა შ. კაკიჩაშვილმა და მეცნიერ თანამშრომელმა. ბ. ჯუღელმა. ქართველმა მეცნიერებმა თვალის ფსკერის ჰოლოგრამების ჩასაწერი სპეციალური მოწყობილობის გამოგონების საავტორო მოწმობა მიიღეს.

— ოპთალმოლოგები დიდი ხანია მუშაობენ თვალის ფსკერის სრული მოცულობითი გამოსახულების მისაღებად, რაც აუცილებელია თვალის დაავადებათა დიაგნოსტიკის, და სხვადასხვა დაავადებებთან უფრო ეფექტიანი ბრძოლისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. კონტრიძემ. — მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ უკანასკნელ ხანს, მას შემდეგ მოხერხდა, რაც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის თანამშრომლებმა (ხელმძღვანელი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი შ. კაკიჩაშვილი) კოგერენტული ოპტიკისა და ჰოლოგრაფიის დარგში გარკვეული მიღწევები მოიპოვეს.

ჩვენს მიერ მიღებული ჰოლოგრამები იძლევა თვალის გარკვეული მოცულობით გამოსახულებას, რომელზეც არა მარტო მისი ქსოვილების სტრუქტურა, არამედ ამ ქსოვილების გაღაგებაც ჩანს. სამგანზომილებიანი გამოსახულება მსგავს ჰოლოგრამებს ფსკერზე ელებელს ხდის თვალის ბადურის დაავადების, სისხლძარღვთა პათოლოგიის, გლაუკომისა და სხვა დაავადებათა შესწავლაში.

თვალის ფსკერის ჰოლოგრაფიული ჩანაწერი ფართო გამოყენებას პოვებს კლინიკაშიც, მოსახლეობის პროფილაქტიკურ შემოწმებაში, თვალის სხვადასხვა დაავადებათა დროზე გამოვლენასა და ავადმყოფებზე შემდგომი დისპანსერული მეთვალყურეობაში. შემდგომში ჰოლოგრაფიამ შეიძლება შეცვალოს ოპტიკური მოწყობილობანი, რომლებსაც მედიცინაში ორგანიზმის ძნელადმისწვდომ ღრუებზე დაკვირვებისა და ფიქსაციისას იყენებენ.

ცხადია, ახალი მეთოდის გამოყენება შეიძლება გულის, ფილტვებისა და სხვა ორგანოების მოცულობითი გამოსახულების მისაღებადაც.

ი. გოლდმანი,
(საქინფორმის კორ.).

სამეცნიერო სესია არბოში

ახლახან ვორის რაიონის სოფელ არბოში მოეწყო ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლომოურის დაბადების 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. ჯაშაშვილმა. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე ილაპარაკა ნ. ლომოურის სახლ-მუზეუმის დირექტორმა. მ. ქრისტესიაშვილმა. ეთნოგრაფიული მასალები ნ. ლომოურის შემოქმედებაში — ასეთი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ჯალაბაძის მოხსენების შინაარსი. არბოს რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ნ. დოკაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: ნ. ლომოური, როგორც ათეისტი მწერალი. სესიაზე მოგზებებით გამოვიდა მწერლის შვილიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ლომოური.

დ. ცინცაძე.

ᲚᲝᲜ-ᲙᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ნონა გაფრინდაშვილი და... მრავალი ვაქი

● **ᲪᲮᲝᲚᲐ ᲠᲐᲛ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ**
● **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ**

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი თამაშს დაიწყებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჭ. ლონ-პაინში (კალიფორნიის შტატი) იმართება. ეს იქნება ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკის პირველი გამოსვლა ამ ქვეყანაში.

ლონ ომის შემდეგ მარშალს უკვე ახალგაზრდა კონკურენტებთან ბრძოლა მოუხდა, როგორიც იყვნენ ჯერ კიდევ ხელ, შემდეგ კი ოვშევსკი და ფაინი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ რეშევსკი, რომელიც 66 წლისაა, დღემდე განაგრძობს ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ცხოვრება ძალზე გამოაცოცხლა რობერტ ფიშერის მიერ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამ. დიდი ტირაჟებით გავრცელდა მისი წერილები „ჩემი 60 სამახსოვრო პარტია“ და „რობერტ ფიშერი გასწავლით ჭადრაკის თამაშს“, რომელიც ბავშვთა სახელმძღვანელო გახლავთ. იმავე დროს გაიზარდა საერთაშორისო ტურნირების რიცხვი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეწყობა. სწორედ ერთ-ერთი მათგანია საერთაშორისო ტურნირი ლონ-პაინში, რომლითაც იწყება ამერიკელ მოჭადრაკეთა საჭადრაკო კალენდარი.

ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲡ ლონ-პაინში (იგი „ეულ ნაძვს“ ნიშნავს) პატარა საზამთრო კურორტში, რომელშიც სულ 1.500 მუდმივი მცხოვრებია, კერძო მრეწველი აყენებს. ამ პატარა ქალაქის მოსახლეობა საზამთრო საკურორტო სეზონის დროს მკვეთრად იზრდება ხოლმე და ტურნირსაც უამრავი მაყურებელი ჰყავს. საინტერესოა, რომ შეჯიბრების ორგანიზატორები „ბეს ფულს ორავს“ უხდიან, მსოფლიოს ჩემპიონებსა და ექს-ჩემპიონების გარდა. ამის მიუხედავად ლონ-პაინში დიდი პრიზებია (პირველი პრიზი — 10 ათასი დოლარი) და ამიტომაც თავისი ხარჯებით უამრავი ამერიკელი მოჭადრაკე ჩადის.

არის ერთი გარემოებაც — ფიშერის „გადადგომის“ შემდეგ ბა, რომელიც მონაწილეთა ნებისმიერ რაოდენობას იტანს. ეს აშშ-ის ჭადრაკის მესვეურებს საშუალებას აძლევს წვრთნის მიზნით ტურნირზე დაუშვან ჭაბუკ ამერიკელ მოჭადრაკეთა ჯგუფი.

1975 წელს ლონ-პაინის ასპარეზობაში 22 (!) დიდოსტატი მონაწილეობდა. შეჯიბრება 10 ტურად მიმდინარეობდა. 1976 წელს ტურების რაოდენობა შეიზღდაც ექნა შემცირებული, რაც ეტყობა, ვერ ჩაითვალა მაინცდამაინც მარჯვე ღონისძიებად, რადგან წლეულს 9 ტური გათამაშდება. როგორც წესი, ბრძოლა უდიდესი სიმწვავით ხასიათდება.

როდესაც პეტროსიანს ვესაუბრეთ მარშანდელი ასპარეზობის შესახებ (მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პირველი ადგილი დაიკავა), მან გახაცხადა, რომ პირველ პრიზს ყველაზე მეტად მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი იმსახურებდა, მაგრამ საკმაო გაბედა მისი ერთი „ზედმეტი“ ყაიმი (სმისლოვი შეუძლოდ გრძნობდა თავს), რომ „მომიმარე გოლიათს“ დიდოსტატების ჯგუფი დაეწია და მან საბოლოოდ მეორე-მესამედი ადგილები გაიყო. წლეულს ნონასთან ერთად ითამაშებს მოსკოველი დიდოსტატი ბალაშოვი.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ლონ-პაინში ძალიან ძნელია. თუ მოჭადრაკემ იმავე დღეს დაამთავრა თავისი პარტია, ხომ კარგი, თუ არ დაამთავრა, მაშინ 5-საათიანი თამაშის შემდეგ სულ ორი საათის დასვენება ეძლევა და მერე ბრძოლა უნდა გაგრძელოს. ამიტომ თამაშინ ამ შეჯიბრებაში დიდ ფიზიკურ წრთობას მოითხოვს.

უცხოელთის პრესა უკვე ბევრს წერს ლონ-პაინის ტურნირის შესახებ. გარდა აშშ-ის წამყვანი დიდოსტატებისა და ახალგაზრდა ოსტატების ჯგუფისა, აქ, როგორც წესი, თამაშობენ არგენტინელები (დიდოსტატები პანო, კინტეროსი, 67 წლის ნაიდორფი), კანადელები (დიდოსტატები იანოვსკი, სატლსი), ბერი სტუმარი ჩადის ევროპიდან. თავის წარმომადგენლებს გზავნიან უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების საჭადრაკო ფედერაციები. თამაშობენ ფილიპინების, ინდონეზიისა და სხვა აზიური ქვეყნების მოჭადრაკეებიც. ერთი სიტყვით, ეს ქალაქი მართლაც რომ მრავალი კონტინენტის მოჭადრაკეებს ეზიდავს.

ნონა გაფრინდაშვილს, როგორც ცნობილია, ბევრჯერ წარმატებით უთამაშია ვაჟთა საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირებში.

გავიხსენოთ მისი შესანიშნავი ყაიმი ჰასტინგსის საახალწლო ტურნირში კეტრესთან, სადაც გამოჩენილ ესტონელ დიდოსტატს აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მსოფლიოს ჩემპიონის დიდი ძალა უგრძნიათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს ტალსა და სპასკის, წამყვან საბჭოთა და უცხოელ დიდოსტატებს. რაც შეეხება ოსტატებს, მათ ნონა სისტემატიურად ამარცხებს, შარშან სანდომეჟში (პოლონეთი) განთქმულმა მოჭადრაკე ქალმა პირველად მოუგო დიდოსტატ მამაკაცს. ეს იყო ახალგაზრდა დიდოსტატი ირინერ ქნაკი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ლენინგრადში ნონამ უფრო დიდი რანგის მოჭადრაკე დაამარცხა — საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი ალექსანდრე ბელიავსკი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქნაკაც და ბელიავსკისაც ეს დამარცხება პირველი პრიზის ფასად დაუჯდათ.

ასე, რომ „ნონა გაფრინდაშვილის კლუბი“ სულ უფრო იხრდება და მრავალრიცხოვანი ხდება. ლონ-პაინში მსოფლიოს ჩემპიონი 9 პარტიიდან ნაწილს სწორედ დიდოსტატებთან ითამაშებს და უნდა ვიფიქროთ „კლუბსაც“ ახალი წევრები შეემატება.

გ. გამრეკელი.

პრეტენდენტთა მატჩებზე

ᲠᲝᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ ლარსენმა და პორტიშმა ხელმეორედ გადადეს მეხუთე პარტია, ამჯერად მხედრების სავსებით თანაბარ ენდშპილში. ლარსენმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ პარტია, ეტყობა, ყაიმით დამთავრდება, მაგრამ მას მაინც სურს ბრძოლის გაგრძელება.

მეექვსე პარტიაში თეორიებით თამაშობდა პორტიში. ეს მეექვსე პარტიაც დაუმთავრებელი დარჩა. ახლა მეტოქეებმა ერთად უნდა დაამთავრონ ეს ორი გადადებული პარტია. ანგარიში ამჟამინდელ-ბურად პორტიშის სასარგებლოდაა — 2,5:1:5.

როგორც ლიუცერნიდან იუწყებიან, უკვე რამდენიმე დღეა არსად ჩანს მეკინგის მწვრთნელი, იტალიელი დიდოსტატი მარიოტი. ჟურნალისტების აზრით, იგი გადადგა და ახლა მას საერთაშორისო ოსტატი ჰუგი (შვეიცარია) ცვლის.

ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲠᲘᲜᲒᲘ

ცენტრალური თავდამსხმელი

საბჭოთა მაყურებელი კარგად იცნობს ცნობილი მწერლის ვახილი აქსიონოვის სცენარების მიხედვით გადაღებულ ფილმებს („კოლეგები“, „მარმარილოს ხახლი“, „როცა ხიდებს ხსნიან“, „ბატონ-პატრონი“, „მოგზაურობა“).

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ვ. აქსიონოვის სცენარის მიხედვით რეჟისორმა ისააკ მაგიტონმა გადაიღო მუსიკალური კინოკომედია საორტსა და სიყვარულზე. ფილმში მაყურებელი იხილავს კალათბურთის, ამლეტიზმი და აკადემიური სპორტის ამაღელვებელ პერიპეტიებს. ფილმი მაყურებელს იზიდავს დამატებელი მუსიკით, სიმღერებით (ალა პუგაჩოვას შესრულებით).

დამდგმელი ოპერატორია ლ. პეტროვი. როლებს ახორციელებენ ს. კრეტოვი, ლ. სუვორკინა, ბ. წოფურია და სხვ. (გორკის სახელობის კინოსტუდია).

შვებულება, როგელიც არ შედგა

ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲐᲒᲒᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲛᲘ ᲙᲘᲝᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲔᲚ ᲨᲔᲒᲜᲐᲮᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲘᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ, ᲠᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲐᲮᲛᲝᲑᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲝᲠᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ. ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ, ᲐᲛᲚᲔᲢᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲞᲘᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲤᲘᲚᲛᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲗ (ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ).

ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ Ლ. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ. ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ Შ. ᲙᲠᲔᲢᲝᲕᲘ, Ლ. ᲡᲣᲕᲝᲠᲙᲘᲜᲐ, Ბ. ᲬᲝᲤᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. (ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ).



მილიონი ლაურასთვის

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ რეჟისორის იერონიმ შპიბილის კინოკომედიებს („ჯალიშვილთა შეთქმულება“, „პარიზი, ვარშავა ვიზის გარეშე“, „პოზნანელი ბულბულები“) კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ „ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲐᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲐ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘ ᲤᲐᲒᲐᲠᲘᲐ ᲙᲣᲗᲣᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲨᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ...

სცენარი კინოკომედიისათვის ეფი ინანიკიმ დაწერა, დამდგმელი ოპერატორია ეფი სტავიცკი. როლებს ახორციელებენ ბოგდან ბაერი, ლოძიმეკ ნოვაკი, ირენა შევჩიკი და სხვ. (პოლონეთი).

სანქართან ბრძოლაში

პატარები გადარჩინეს

ᲖᲐᲠᲐ. (საქინფორმის კორ.). მაღალი მთის სოფელ სიხტის ერთ-ერთ სახლში ხანძარი განხდა.

ეიცხლწყაოდებულ სახლში სამი შეშინებული ბავშვი დარჩა. მეზობელი ბებალ კოჩიეკა უშიშრად შეიჭრა ალმოდებულ სახლში; პატარები ეზოში გამოიყვანა და პირველი დახმარება აღმოუჩინა. გადარჩენილი ბავშვების მშობლებმა და ნათესავებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს მამაც ქალს.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

13 მარტი

პირველი პროგრამით

08.00 — „ბავშვებისათვის“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.45 — „ეკონომიკა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 09.15 — „შვეიცარიელი ოჯახი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „კოდალას თავი არ სტკივა“, 13.00 — „მუსიკალური კოსკი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — კინოფიშა, 14.30 — ხაჟერაკი სკოლა, 14.40 — კინოს მოყვარულთათვის, 16.00 — თვალსაჩინო მკურნალი — ალ. ალადაშვილი, 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.00 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“ (მინსკი-თბილისი), 17.55 — საერთაშორისო პანორამა — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.25 — გაკეთფრთხილეთ ეროვნულ საუნჯეს — დავით გარეჯი, 18.55 — „ცეროდენას ეკრანი“ ქართულ ენაზე, 19.10 — „ხალესტრადო სუვენირები“ — ფერადი გამოსახულებით, 19.40 — „ეკონომგზაურობის კლუბი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „ოქროპირი“ სატელევიზიო სატირულ-იუმორისტული ჟურნალი — ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — დიალოგი მსახიობზე — სერგო ზაქარიაძე.

მეორე პროგრამით

17.35 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბაბუა კილიანი და მე“, 18.55 — დოკუმენტური ფილმი „ცამბირი, ბმრი, მეცნიერება“ — ფერადი გამოსახულებით, 19.55 — კონცერტი, 20.45 — მხატვრული ფილმი „რიდე სექტემბერი დგება“ — ფერადი გამოსახულებით.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

14 მარტი

პირველი პროგრამით

08.00 — „ახალგაზრდა“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — გ. კიკნაძე — „ქართული სუიტა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ი. ჭავჭავაძის ლექსები, 12.30 — მღერის ს. როტარუ, 13.30 — „ახალგაზრდა“ მოწინავე სტატია, 14.00 — ლიტერატურული კითხვა — ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიო